



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49212671

თარიღი:24/09/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 77

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის
სამსახურის მიერ 2020 წელსა და**

2021 წლის I- II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I- II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I- II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I- II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

1.შესავალი

შიდა აუდიტის არსია, დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებასა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ. შიდა აუდიტი აფასებს და აუმჯობესებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სიტემას, რისკების მართვის ეფექტიანობას, რაც შესაბამისად აუმჯობესებს დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას.

შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება. შიდა აუდიტის საქმიანობა მოიცავს დაწესებულების მთელი რიგი აქტივობებისა და პროცესების შეფასების სხვადასხვა სფეროს, რათა უზრუნველყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესაბამისობა მიზნებთან, წესებთან და სტანდარტებთან და, ასევე, გონივრულ ფინანსური მართვის პრინციპებთან.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესის მიზნების მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის და ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკის გამოვლენას და რისკების შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემების დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად, კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესწავლას და მათი უწყვეტი განვითარების ხელშეწყობას.

შიდა აუდიტის მიზნებია:

- სტრატეგიული და წლიური გეგმების მომზადება რისკების შეფასების საფუძველზე, რომელთაც შეუძლიათ საფრთხის ქვეშ დააყენონ დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასება და შესწავლა ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით დაწესებულების წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად;
- ხელმძღვანელობის ინფორმირება მიგნებების და დასკვნების შესახებ და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

დაწესებულების შიგნით არსებული ყველა სისტემა, პროცესი, მოვლენა და საქმიანობა შეიძლება წარმოადგენდეს შიდა აუდიტორული შემოწმების საგანს. შიდა აუდიტი ასევე წარმოადგენს დამოუკიდებელ და ობიექტურ მარწმუნებელ მომსახურებას, რომელიც ხელმძღვანელობას ეხმარება დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვაში, შიდა კონტროლისა და მმართველობითი პროცედურების გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინერგება ახალი სისტემები და პროცედურები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსს, შიდა აუდიტის სტანდარტებს.

სტანდარტები მოითხოვს აუდიტორების მიერ ეთიკის კოდექსის დაცვას, აუდიტის დაგეგმვას და წარმართვას იმგვარად, რომ აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგინდეს შესაბამება თუ არა ორგანიზაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედ კანონმდებლობას.

სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება, შემოწმებული ობიექტების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწავლა - ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზების განსაზღვრა.

შიდა აუდიტის სამსახური, სამსახურეობრივ უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობას ახორციელებს მერიის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმების შესაბამისად.

2. მოკლე მიმოხილვა

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2020 წელს განხორციელდა ორი შიდა აუდიტორული შემოწმება (შესაბამისობის), მომზადდა ერთი შიდა აუდიტორული ანგარიში, ორი დასკვნა - სამსახურის მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, ერთი ინსპექტირების დასკვნა. შიდა აუდიტორული შემოწმება (შესაბამისობის) ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;
- ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“;

აღნიშნული ობიექტების შემოწმების შედეგად 2020 წელში მომზადდა შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტები. ხოლო საბოლოო ანგარიშები მომზადდა 2021 წელში.

3. განხორციელებული ღონისძიებები:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის - შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების შიდა აუდიტორული შემოწმების (შესაბამისობის აუდიტი) შედეგად, რომელიც დაიწყო 2019 წელს და

მოიცვა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, 2020 წელში მომზადდა აუდიტორული ანგარიში.

აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა შემდეგი სახის ხარვეზები (მიგნებები):

1. რიგ შემთხვევებში სახელმწიფო შესყიდვები (CMR180182749; CMR180136920; CMR180198929; CMR180199759) განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში (ePLAN მოდულში) რეგისტრაციის გარეშე.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა ამ კანონით დადგენილი გამონაკლისებისა. ვინაიდან წარმომადგენლებით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები არ განეკუთვნება აღნიშნულ გამონაკლისებს, წარმომადგენლებით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა იმოქმედოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების მე-4 მუხლის 3¹ პუნქტის მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესყიდვების გეგმა უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრულ პარამეტრებს.

2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში გათვალისწინებული არაა წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები, მაშინ როცა ამავე წლის ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის გამოყოფილია თანხები.

3. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაზრის კვლევას. NAT180018668; NAT180017733; NAT180012306; NAT180010624; NAT180014847; NAT180012304; NAT180006633; NAT180009053; NAT180013090; NAT180014848; NAT180004942; NAT180005372; NAT180006516; NAT180006517; NAT180010431; NAT180013479; NAT180013487; NAT180013999; NAT180014691; NAT180015440; NAT180015441; NAT180016370; ელექტრონული ტენდერების შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ბაზრის კვლევის მასალები დოკუმენტირებული არ არის.

4. NAT180014848; NAT180014847 ელექტრონულ ტენდერებში ხელშეკრულებები გაფორმებულია პრეტენდენტებთან, რომლებიც სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრული დროის დაგვიანებით გამოცხადდნენ ხელშეკრულების დასადებად.

5. NAT180015925 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულება დადებულია ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან

მე-3 სამუშაო დღეს. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის, „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან, მომდევნო 3 სამუშაო დღის განმავლობაში დაუშვებელია ხელშეკრულების დადება.

6. NAT180017522; NAT180011847 ელექტრონული ტენდერების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულებები დადებული არ არის შესაბამისი ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე.

7. **NAT180013090; NAT180007909** შესაბამის ხელშეკრულებში განხორციელებული ცვლილებები წარმოშობს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესების რისკებს.

8. რიგ შემთხვევებში საპროექტო დაწესებულებებიდან შესყიდულ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში განხორციელებულია ცვლილებები (NAT180002006; NAT180004081; NAT180004696; NAT180007914; NAT180007900; NAT180004685; NAT180014988; NAT180015925; NAT180015926), რომელთა შეთანხმება პროექტების ავტორებთან არ მომხდარა, რამაც შესაძლოა წარმოშვას პროექტის უსაფრთხო განხორციელებისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკები.

9. NAT180006516; NAT180010431; NAT180013487; NAT1800013479; NAT180014691; NAT180015440; NAT180015441; NAT180016370 ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო დოკუმენტაცია არ მოიცავს დასაპროექტებელი გზების; ღვარსადენების; სადრენაჟე სისტემის და ა.შ. სავარაუდო სიგრძეების შესახებ ინფორმაციას.

10. ჩატარებული ტენდერების შესწავლით გამოვლინდა NAT180017021; **NAT180012730; NAT180015962; NAT180004081; NAT180002111; NAT180016892; NAT180015495; NAT180010384; NAT180004669; NAT180012306; NAT180007911; NAT180006645; NAT180004085; NAT180005129; NAT180005125; NAT180002671; NAT180007900; NAT180007397; SPA180008709; CNT180000037** შესყიდვების განხორციელებისას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არასწორად შევსებული ველები და ხარვეზის შემცველი სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვის შემთხვევები, არსებობს რისკი იმისა, რომ დაშვებული ტექნიკური შეცდომები სატენდერო პირობებს დაინტერესებული პირებისთვის გაუგებარს ხდის და აფერხებს ტენდერებში მათ მონაწილეობას.

11. **NAT180015495** ელექტრონულ ტენდერში 2018 წლის 29 ოქტომბერს ხელმოწერილი სხდომის ოქმი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით.

12. **NAT180009053** ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტთან ი/მ ავთანდილ კაჭახიძესთან მიმართებით ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილი სისტემაში ატვირთული არ არის ამ პრეტენდენტის ვინაობის განსაჯაროების შემდგომ ასატვირთ სატენდერო კომისიის პირველივე სხდომის ოქმთან ერთად.

13. NAT180017733, NAT180017522; NAT180017021; NAT180016892; NAT180015962; NAT180015924; NAT180014847; NAT180013479; NAT180013090; NAT180011933; NAT180011847 ელექტრონული ტენდერების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული არ არის.

14. CMR180218807; CMR180187026; CMR180187018; CMR180200818; CMR180214363; CMR180212464; CMR180194481; CMR180206879; CMR180167551; CMR180143293; CMR180170566; CMR180175078; CMR180125472; CMR180182740; CMR180199759; CMR180187129; CMR180209363; CMR180200839 ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული არ არის.

15. **NAT180013183; NAT180006516 ელექტრონულ ტენდერებში „მიმწოდებლად“** რეგისტრირებული მომხმარებლები ითხოვდნენ სატენდერო პირობების კონკრეტული ჩანაწერის განმარტებას. თუმცა „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით, აღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებით განმარტება არ გაკეთებულა.

16. **NAT180015926; NAT180013487; NAT180013479; NAT180010431; NAT180007909 ელექტრონულ ტენდერებში „მიმწოდებლად“** რეგისტრირებული მომხმარებლები ითხოვდნენ სატენდერო პირობების კონკრეტული ჩანაწერის განმარტებას. აღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებით განმარტებები გაკეთებულია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით.

17. აუდიტის მიმდინარეობისას შესამოწმებელ პერიოდში გაფორმებული შემდეგი ხელშეკრულებების (CMR180065142; CMR180080738; CMR180084606; CMR180104816; CMR180108998; CMR180142021; CMR180167495; CMR180095237; CMR180110808; CMR180084585; CMR180095251; CMR180131501; CMR180084603; CMR180084595; CMR180084582; CMR180084580; CMR180095261; CMR180131519; CMR180107902; CMR180133624; CMR180119941; CMR180065121; CMR180129264; CMR180129930; CMR180131538; CMR180132381; CMR180084610; CMR180114470; CMR180065071; CMR180063492; CMR180182749; CMR180214310; CMR180218705; CMR180095245; CMR180218807; CMR180138416; CMR180124135; CMR180117539; CMR180110799; CMR180112055; CMR180135502; CMR180113005; CMR180214330; CMR180113016; CMR180114476; CMR180119938; CMR180200818; CMR180130026; CMR180138424; CMR180219234; CMR180063637; CMR180065189; CMR180068258; CMR180080619; CMR180096860; CMR180107911; CMR180127102; CMR180158024; CMR180182718; CMR180117232; CMR180117503; CMR180122494; CMR180214363; CMR180212464; CMR180063640; CMR180138411; CMR180187138; CMR180188348; CMR180114451; CMR180158110; CMR180134400; CMR180076155; CMR180090819; CMR180114486; CMR180118902; CMR180124131; CMR180177429; CMR180182715; CMR180118912; CMR180206879; CMR180187124; CMR180122497; CMR180218621; CMR180015721; CMR180051744; CMR180142019; CMR180167551; CMR180182729; CMR180054355; CMR180143293; CMR180170566; CMR180124125; CMR180015621; CMR180080715; CMR180087022; CMR180113013; CMR180124127; CMR180175078; CMR180204614; CMR180127096; MR180124134; CMR180132722; CMR180095272; CMR180129856; CMR180129936; CMR180080749; CMR180095218; CMR180112067; CMR180125472; CMR180136920; CMR180182740; CMR180199759; CMR180198929; CMR180187129; CMR180209363; CMR180102718; CMR180102731; CMR180117325; CMR180127087; CMR180129888; CMR180127087; CMR180200839; NAT180018668; NAT180001509; NAT180002671; NAT180003666; NAT180017733; NAT180016591; NAT180012306; NAT180003954; NAT180011933; NAT1800 8988; NAT180010624; NAT180014847; NAT180014326; NAT180018246; NAT180002006; NAT180002111; NAT180002116; NAT180002292; NAT180002669; NAT180002670; NAT180003967, NAT180004014; NAT180004024; NAT180004081; NAT180004085; NAT180004669; NAT180004681; NAT180004685; NAT180004696; NAT180004919;

NAT180005125; NAT 180005129; NAT180005377; NAT180006130; NAT180007900; NAT180007909; NAT180007911; NAT180007914; NAT180010384; NAT180011841; NAT180011843; NAT180011846; NAT180011847; NAT180012730; NAT180013183; NAT180014988; NAT180015495; NAT180015607; NAT180015923; NAT180015925; NAT180015926; NAT180015962; NAT180016892; NAT180021063; NAT180002672; NAT 180006645; NAT 180000249; NAT180000578; NAT180012304; NAT 180000242; NAT 180001133; NAT180001304; NAT180002668; NAT180002904; NAT 180004140; NAT 180004942; NAT180005372; NAT180006516; NAT180006517; NAT180010431; NAT180013479; NAT180013487; NAT180013999; NAT180014691; NAT180015440; NAT180015441; NAT180016370; NAT180005664; NAT180006633; NAT180009053; NAT180014848; NAT180010048) შესრულების/შესრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იყო ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

18. NAT180017021; NAT180002009; NAT180003336; NAT180004096; NAT180004113; NAT180013090; NAT180017522 ელექტრონული ტენდერების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების/ შესრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა დაგვიანებით.

19. აუდიტის მიმდინარეობისას შესამოწმებელ პერიოდში გაფორმებულ ხელშეკრულებებს (CMR180065142; CMR180080738; CMR180084606; CMR180104816; CMR180108998; CMR180142021; CMR180167495; CMR180095237; CMR180110808; CMR180084585; CMR180095251; CMR180131501; CMR180084603; CMR180084595; CMR180084582; CMR180084580; CMR180095261; CMR180131519; CMR180107902; CMR180133624; CMR180119941; CMR180065121; CMR180129264; CMR180129930; CMR180131538; CMR180132381; CMR180084610; CMR180114470; CMR180065071; CMR180063492; CMR180182749; CMR180214310; CMR180218705; CMR180095245; CMR180218807; CMR180138416; CMR180124135; CMR180117539; CMR180110799; CMR180112055; CMR180135502; CMR180113005; CMR180214330; CMR180113016; CMR180114476; CMR180119938; CMR180200818; CMR180130026; CMR180138424; CMR180219234; CMR180063637; CMR180065189; CMR180068258; CMR180080619; CMR180096860; CMR180107911; CMR180127102; CMR180158024; CMR180182718; CMR180117232; CMR180117503; CMR180122494; CMR180214363; CMR180212464; CMR180063640; CMR180138411; CMR180187138; CMR180188348; CMR180114451; CMR180158110; CMR180134400; CMR180076155; CMR180090819; CMR180114486; CMR180118902; CMR180124131; CMR180177429; CMR180182715; CMR180118912; CMR180206879; CMR180187124; CMR180122497; CMR180218621; CMR180015721; CMR180051744; CMR180142019; CMR180167551; CMR180182729; CMR180054355; CMR180143293; CMR180170566; CMR180124125; CMR180015621; CMR180080715; CMR180087022; CMR180113013; CMR180124127; CMR180175078; CMR180204614; CMR180127096; MR180124134; CMR180132722; CMR180095272; CMR180129856; CMR180129936; CMR180080749; CMR180095218; CMR180112067; CMR180125472; CMR180136920; CMR180182740; CMR180199759; CMR180198929; CMR180187129; CMR180209363; CMR180102718; CMR180102731; CMR180117325; CMR180127087; CMR180129888; CMR180127087; CMR180200839; NAT180018668; NAT180001509; NAT180002671; NAT180003666; NAT180017733; NAT180016591; NAT180012306; NAT180003954; NAT180011933; NAT1800 8988; NAT180010624; NAT180014847; NAT180014326; NAT180018246; NAT180002006; NAT180002111; NAT180002116; NAT180002292; NAT180002669; NAT180002670; NAT180003967, NAT180004014; NAT180004024; NAT180004081; NAT180004085; NAT180004669; NAT180004681; NAT180004685; NAT180004696; NAT180004919; NAT180005125; NAT 180005129; NAT180005377; NAT180006130; NAT180007900; NAT180007909;

NAT180007911; NAT180007914; NAT180010384; NAT180011841; NAT180011843; NAT180011846; NAT180011847; NAT180012730; NAT180013183; NAT180014988; NAT180015495; NAT180015607; NAT180015923; NAT180015925; NAT180015926; NAT180015962; NAT180016892; NAT180021063; NAT180002672; NAT 180006645; NAT 180000249; NAT180000578; NAT180012304; NAT 180000242; NAT 180001133; NAT180001304; NAT180002668; NAT180002904; NAT 180004140; NAT 180004942; NAT180005372; NAT180006516; NAT180006517; NAT180010431; NAT180013479; NAT180013487; NAT180013999; NAT180014691; NAT180015440; NAT180015441; NAT180016370; NAT180005664; NAT180006633; NAT180009053; NAT180014848; NAT180010048) ჰქონდათ „მიმდინარე ხელშეკრულების“ სტატუსი.

გამოვლენილი ხარვეზების (მიგნებების) აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციები:

1. დაინერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და სათანადოდ რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად.
2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა ამ კანონით დადგენილი გამონაკლისებისა. ვინაიდან წარმომადგენლებით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები არ განეკუთვნება აღნიშნულ გამონაკლისებს, წარმომადგენლებით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა იმოქმედოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები (არსებობის შემთხვევაში).
3. კონტროლის მექანიზმებისა და ინსტრუქციური მეხსიერების გაძლიერებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის მოხდეს ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირება.
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისას დაცული იქნას სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები.
5. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება არ გაფორმდეს ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან მომდევნო 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
6. გაძლიერდეს კონტროლის მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილ იქნას გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, სატენდერო პირობებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

7. არ განხორციელდეს ხელშეკრულების ცვლილება, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

8. აუცილებლობის შემთხვევაში, საპროექტო დაწესებულებებიდან შესყიდულ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში ცვლილებები განხორციელდეს ავტორებთან შეთანხმებით, სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე.

9. ვინაიდან სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოცულობებზე დაყრდნობით ხდება პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადებების წარმოდგენა, შემსყიდველმა მიუთითოს გასაწევი მომსახურების მოცულობების (მაგ. დასაპროექტებელი ობიექტების სიგრძეების) შესახებ ინფორმაცია და მკაფიოდ აღწეროს შესყიდვის ობიექტი.

10. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას შესაბამისი ველები შეივსოს სწორად და არ აიტვირთოს ხარვეზის შემცველი სატენდერო დოკუმენტაცია, რის შედეგადაც დაინტერესებული პირებისთვის სატენდერო პირობები გასაგები იქნება და ხელს შეუწყობს ტენდერებში მათ მონაწილეობას, კონკურენციის ზრდასა და სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

11. სატენდერო კომისიის ნებისმიერი სხდომის ოქმი, გარდა სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სხდომის ოქმისა, სისტემაში აიტვირთოს ხელმოწერისთანავე.

12. პრეტენდენტთან მიმართებით ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილი სისტემაში აიტვირთოს, ამ პრეტენდენტის ვინაობის განსაჯაროების შემდგომ ასატვირთ სატენდერო კომისიის პირველივე სხდომის ოქმთან ერთად.

13. გატარდეს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირების ხელწერილების - ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ - სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა. ასევე გაძლიერდეს კონტროლის მექანიზმები, რათა ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელ ფიზიკურ პირს არ ევალება ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის დადასტურება, თუ აღნიშნული მას, როგორც სატენდერო კომისიის ან სატენდერო კომისიის აპარატის წევრს იმავე მიმწოდებლის (პრეტენდენტის) მიმართ უკვე დადასტურებული აქვს ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობისას, აგრეთვე გამარტივებული შესყიდვის დროს თუ აღნიშნული მას, როგორც მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილეს, უკვე დადასტურებული აქვს.

14. გატარდეს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელებული შესყიდვების შესაბამისი ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირების ხელწერილების

- ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ - სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

15. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კითხვის დასმიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით, გაკეთდეს შესაბამისი განმარტება დასმულ კითხვასთან მიმართებით. შესაბამისი განმარტების შედეგად დაინტერესებული პირებისთვის სატენდერო პირობები უფრო გასაგები გახდება და ხელს შეუწყობს ტენდერებში მათ მონაწილეობას, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებას და სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

16. „კითხვა-პასუხის“ მოდულში განმარტების გაკეთებისას მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვა, ვინაიდან მიღებულ განმარტებაზე დაყრდნობით დაინტერესებული მხარე იღებს გადაწყვეტილებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ და დროში დაგვიანებული პასუხი შესაძლოა არარელევანტური აღმოჩნდეს მისთვის, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას.

17. გატარდეს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებების შესრულების / შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა.

18. გაუმჯობესდეს კონტროლის ქმედითი მექანიზმები, რათა მომავალში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“-ს მე-5 მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტების მიხედვით, ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

19. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებებს მიენიჭოთ შესაბამისი სტატუსები („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“).

მერიის სტრუქტურული ერთეულის მხრიდან შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურისათვის შეკითხვით მიმართვის საფუძველზე, სამართლებრივი კონსულტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მხრიდან დასმული შეკითხვა, რომელიც ეხებოდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მყიდველის - შპს-ს მიერ, პირობით ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის გამო, დარღვევის გამოსწორების მიზნით იმავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების და/ან ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის განსაზღვრის მთხოვნას, რაზეც გაიცა შემდეგი რეკომენდაცია:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებულ პირობიან/უპირობო ელექტრონულ აუქციონზე გატანილ ლოტებთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია აუქციონატორის მიერ, შესაბამის ელექტრონულ ველში სრულყოფილად იქნეს დეკლარირებული გასასხვისებელი ნივთის აღწერილობითი-თვისობრივი მახასიათებლები, რაც სახელშეკრულებო პირობების დარღვევის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულის - მყიდველის მხრიდან გამორიცხავს სუბიექტურ ფაქტორებზე აპელირებით პრეტენზიის წარდგენისა და სასარჩელო წესით საქმის წარმოების სამართლებრივ საფუძვლებს, ამასთან მინიმუმამდე დაიყვანს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესში ფინანსური ზიანის დადგომის რისკებს, (ლოტზე გამოვლენილი ნაკლის გამოსწორების ხარჯი; შესაძლო სასამართლო ხარჯები და სხვა), მეორემხრივ ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების ეფექტურად განკარგვის, არსებულზე მეტად დახვეწილი პრაქტიკის დამკვიდრებას.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის შეკითხვა, რომელიც ეხებოდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, მოიჯარის მიმართ, იმავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების შესახებ მიზანშეწონილობის განსზღვრის მოთხოვნას, რაზეც გაიცა შემდეგი **რეკომენდაცია**:

მიზანშეწონილია ქონების მოიჯარე ფიზიკური პირის სამეწარმეო საქმიანობის დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წინაშე მდგარი ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით, მოიჯარესთან მიმართებით, კომპეტენციის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების აღსრულების უზრუნველყოფის გზით მოახდინოს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების შეუფერხებლად მიღების ნაწილში, შედეგის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სამართლებრივი ქმედებები.

2020 წელს განხორციელდა 1 (ერთი) ინსპექტირება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის წერილის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა თანამშრომლის მიერ შედგენილ დოკუმენტში დაშვებული უზუსტობის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულ ვადის დარღვევას. ინსპექტირების შედეგებზე დაყრდნობით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის ფაქტზე განხორციელებული იქნა დისციპლინური წარმოება. ბრალეული საჯარო მოხელის მიმართ გაიცა რეკომენდაცია დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.

2021 წელში სამსახურის მიერ მომზადდა ორი შიდა აუდიტორული ანგარიში:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურისა და ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების” შემოწმების შიდა აუდიტორული ანგარიშები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა შემდეგი სახის ხარვეზები (მიგნებები):

- ✓ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე გაცემული საგარანტიო წერილები შინაარსობრივად არ შეესაბამება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N5 დადგენილებით განსაზღვრულ პირობებს.
- ✓ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების საგარანტიო წერილი N 31/919 გაიცა ბენეფიციარზე, რომელსაც წარმოდგენილი არ ჰქონდა შესაბამისი დახმარების გაცემის წესის მიხედვით, საგარანტიო წერილის მისაღებად საჭირო ყველა დოკუმენტი.
- ✓ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 1000 ლარისა. ცალკეულ ბენეფიციარებზე აღნიშნული დახმარება გაცემულია უფრო ნაკლები ოდენობით, ვიდრე სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესი ითვალისწინებდა.
- ✓ სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის მიხედვით, ბენეფიციარის მიერ განცხადების წარმოდგენილობის შემთხვევაში განცხადების დაწერაზე უფლებამოსილია ბენეფიციარის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, შვილიშვილი და მის მიერ მინდობილი პირი. თუმცა გაცემის წესში განსაზღვრული არ არის თუ რა დოკუმენტებით უნდა დაადასტუროს პირმა განცხადების დაწერაზე უფლებამოსილება.
- ✓ სამსახურის მომზადებულ დასკვნებში ხშირად გვხვდება ტექნიკური ხასიათის ხარვეზები,

გამოვლენილი ხარვეზების (მიგნებების) აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციები:

1. უზრუნველყოფილი იქნას სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის პირობებისა და ბენეფიციარებზე გაცემული საგარანტიო წერილების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა მუნიციპალური და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.
2. კონტროლის მექანიზმების გაძლიერების საშუალებით, ბენეფიციარებზე სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების საგარანტიო წერილების გაცემა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.
3. ბენეფიციარებზე სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების თანხის გაცემა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით და მათდამი თანაბარზომიერი მოპყრობის პრინციპის დაცვით.
4. სოციალური დახმარების გაცემის წესის პირობები განსაზღვრულ იქნას დასაბუთებული საჭიროებიდან გამომდინარე და აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება მოითხოვებოდეს დოკუმენტალურად. არამნიშვნელოვანი მოთხოვნები კი, სოციალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, სოციალური სერვისების მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, არ იქნეს გამოყენებული.
5. კონტროლის მექანიზმების გაძლიერებით, უზრუნველყოფილი იქნას სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნებსა და თანდართულ მასალებს შორის შეუსაბამობის პრევენცია.

ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების” შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა შემდეგი სახის ხარვეზები (მიგნებები):

- ✓ ა(ა)იპ „დასუფთავებისა“ და „ცენტრის“ 2019 წლის შესყიდვების წლიური გეგმები, აგრეთვე ა(ა)იპ „დასუფთავების“ 2020 წლის შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებული არ არის სათანადო წესით.
- ✓ რიგ შემთხვევებში შესყიდვები განხორციელებულია შესყიდვების წლიურ გეგმაში (ePLAN მოდულში) წინასწარი რეგისტრაციის გარეშე.
- ✓ შესამოწმებელ პერიოდში ა(ა)იპ „დასუფთავება“ არ ახორციელებდა ბაზრის კვლევის პროცესის სათანადო დოკუმენტირებას.
- ✓ NAT200007719 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განხორციელდა სათანადო დასაბუთების გარეშე.
- ✓ რიგ შემთხვევებში პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, აღნიშნული შეუსაბამობების მიუხედავად, სატენდერო კომისია არ მიმართავდა მათ შესაბამისი დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, შედეგად, აღნიშნულ ტენდერებში გამარჯვებულად გამოვლინდნენ

პრეტენდენტები, რომელთა წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

- ✓ NAT200007906 ელექტრონული ტენდერი შეწყვეტილია სათანადო დასაბუთების გარეშე.
- ✓ რიგში შემთხვევებში ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულებები დადებული არ არის სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის და სატენდერო პირობების შესაბამისად.
- ✓ NAT200007554 ელექტრონული ტენდერში გათვალისწინებული არ არის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება, რაც დასაბუთებული არაა სატენდერო დოკუმენტაციაში.
- ✓ რიგ შემთხვევებში გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების პირობებში არაა განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რაოდენობა და ერთეულის ფასი.
- ✓ ზოგ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ არის საჯარიმო სანქციები შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევისათვის.
- ✓ რიგ შემთხვევებში გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების მოქმედების ვადები მინიმუმ 30 დღით არ აღემატება შესაბამისი შესყიდვის ობიექტების მიწოდების ვადებს.
- ✓ რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ატვირთულია სისტემაში, მაგრამ ხელშეკრულებებს მინიჭებული არა აქვთ შესაბამისი სტატუსი.
- ✓ რიგ შემთხვევებში შესყიდვების განხორციელებისას მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირ(ებ)ის, აგრეთვე შესაბამისი ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში ატვირთული არ არის.
- ✓ რიგ შემთხვევებში ელექტრონული ტენდერების სხდომის ოქმებში მითითებულია, რომ შესაბამისი სხდომის ოქმების სისტემაში ატვირთვა დაევალოს სატენდერო კომისიის აპარტს. ფაქტობრივად აღნიშნული ოქმები სისტემაში განთავსებულია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.
- ✓ რიგ შემთხვევებში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში კლასიფიკატორის (CPV კოდი) კოდი არასწორადაა განსაზღვრული.
- ✓ აუდიტის ობიექტმა გამარტივებული შესყიდვის ფორმით გააფორმა ხელშეკრულება (CMR190068110), რომელიც ითვალისწინებდა დეკორატიული კიპაროსების გაკრეჭვით სამუშაოებს და ამ მიზნით დაქირავებულ ფიზიკურ პირს გადაუხადა 4000 ლარი. აუდიტის ობიექტმა ვერ დაასაბუთა, თუ რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული ასეთი სახის ხელშეკრულების გაფორმება, ვინაიდან მას ამ პერიოდში გააჩნდა საკმარისი შრომითი რესურსი (მებაღე-დეკორატორი, მებაღე, მუშა) ასეთი საქმიანობის შესრულებისათვის.
- ✓ „გაერთიანებას“-ს არ აქვს დადგენილი თუ რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს ყოველ 100 კმ-ზე ან/და ერთი მუშა-საათის განმავლობაში სპეც-ტექნიკა და ავტომანქანები შემდეგი სახელმწიფო ნომრებით: GML-180; RJR-414; NN249KK; NN289KK; NN219KK; AA652D; AA890QA;

BB734Q; MJ549JM; DQ498QD; ZZ941BB; BB287Q; BB755Q; BB734Q; სპეციალიზებული სათიბი ნავი OAO.

- ✓ სატრანსპორტო საშუალებებზე სახელმწიფო ნომრით GML-180; RJR-414; NN249KK; აუდიტის ობიექტი არ აწარმოებდა ავტოსატრანსპორტო საგზაო ბარათებს, არ ხორციელდებოდა განვლილი მანძილის (ოდომეტრის მაჩვენებლების) აღრიცხვა და საწვავის ჩამოწერა გარბენილი კილომეტრაჟის ან/და ნამუშევარი საათების მიხედვით.
- ✓ აუდიტის ობიექტი სპეცტექნიკაზე შემდეგი სახელმწიფო ნომრებით KV814VK; GGT245; JO931OJ; SS603SW; XQ882QX; XQ881QX; KV812VK; KV814VK აწარმოებდა ავტოსატრანსპორტო საგზაო ბარათებს, მაგრამ მაგრამ აღნიშნული ბარათები არ არის სრულად შევსებული, კერძოდ: ბარათებს არ აქვთ ნუმერაცია; ნაგავსაყრელზე შეტანილ მ/კუბზე და გაკეთებული რეისის აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები.
- ✓ სპეცტექნიკის შემდეგი სახელმწიფო ნომრებით KV814VK; GGT245; JO931OJ; SS603SW; XQ882QX; XQ881QX; KV812VK ავტოსატრანსპორტო საგზაო ბარათების შესწავლით დგინდება, რომ აუდიტის ობიექტი 2020 წლის ივლისის თვემდე არ აწარმოებდა საწვავის ნაშთების აღრიცხვას.
- ✓ რიგ შემთხვევებში ბენზიგასამართი სადგურებიდან აუდიტის ობიექტის სპეცტექნიკაზე პირდაპირი გადაცემით (ჩასხმით) გაცემული საწვავის რაოდენობა არასწორადაა ასახული აუდიტის ობიექტის მიერ საწვავის ხარჯვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტაციაში.
- ✓ რიგ შემთხვევებში აუდიტის ობიექტის მიერ საწვავის ხარჯვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტაციაში არასწორადაა ასახული ოდომეტრის მაჩვენებლები და საწვავის ნაშთები.
- ✓ რიგ შემთხვევებში აუდიტის ობიექტის მიერ გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები არასრულადაა შედგენილი, კერძოდ: ვერ დგინდება თუ სად და კონკრეტულად რა სამუშაოებისთვის გაიხარჯა საწვავი.
- ✓ რიგ შემთხვევებში შედგენილი არ არის სატრანსპორტო საგზაო ბარათები, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე შეტანის ფაქტები დოკუმენტურად არ დასტურდება.
- ✓ აუდიტის ობიექტს დადგენილი აქვს შემდეგი ნაგავშიდი სპეცტექნიკების (სახელმწიფო ნომრით JO931OJ; KV814VK; XQ882QX; XQ881QX) გადაადგილების მარშრუტები და განსაზღვრული აქვს თითოეული მარშრუტის სიგრძე (კმ). საწვავის ხარჯვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტაციაში კონკრეტული დღეების მიხედვით თითოეული სპეცტექნიკისთვის აუდიტის ობიექტი ასახავს გადაადგილების მარშრუტს, რეისების რაოდენობასა და განვლილ მანძილს. ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს შემდეგი ხასიათის შეუსაბამობებს, კერძოდ, სპეცტექნიკის მიერ განვლილი მანძილი აღემატება იმ მარშრუტის დადგენილ მაქსიმალურ სიგრძეს, რომელიც ამ უკანასკნელმა გაიარა შესაბამისი დოკუმენტაციის მიხედვით.
- ✓ „გაერთიანება“-ს სპეცტექნიკაზე შემდეგი სახელმწიფო ნომრებით GGT245 და SS603SW კონკრეტული მარშრუტები დადგენილი არა აქვს.

- ✓ შესამოწმებელ პერიოდში არ ხორციელდებოდა HANWO თვლიანი ტრაქტორის (სახ.NBB734Q); ZHONGYUAN თვლიანი ტრაქტორის (სახ.NBB287Q); სპეციალიზებული სათიბი ნავის OAO; ტრაქტორი კულტივატორის, აგრეთვე ბალახის საჭრელებისა და სათიბელების მიერ ნამუშევარი საათებისა და/ან განვლილი მანძილის აღრიცხვა.
- ✓ საწვავის ძირითად საშუალებაზე გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შედგენილი არ არის შემდეგ ძირითად საშუალებებზე: GRADER GR1803 სახ. ნომრით AA652D; HANWO თვლიანი ტრაქტორი სახ.BBN734Q; KOMATSU WB 93S-5 ექსკავატორი სახ.NBB755Q; ZHONGYUAN თვლიანი ტრაქტორი სახ.N BB287Q; OAO კამიშების საჭრელი ნავი, ბალახის საჭრელებსა და სათიბელებზე გაცემულ საწვავზე.

გამოვლენილი ხარვეზების (მიგნებების) აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციები:

1. „გაერთიანება“-მ განსაზღვროს შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და კონტროლის მექანიზმების გაძლიერების საშუალებით, უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.
2. საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით შესყიდვები განხორციელდეს ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად. კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის მოხდეს ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირება და მისი სისტემატიზებული არქივაცია.
3. სატენდერო კომისიამ სხდომის ოქმებში დეტალურად აღწეროს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მისი საფუძველი. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასებისას დეტალურად იმსჯელოს, შეიცავს თუ არა აღნიშნული დოკუმენტაცია ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს, მიმართოს პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით. სატენდერო კომისიამ არ დაუშვას კანონმდებლობის შეუსაბამოდ, არასწორი მიზეზით გამოწვეული დისკვალიფიკაცია. აგრეთვე განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტის მიმართ და ხელს შეუწყობენ შესყიდვების პროცესში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას. კომისიამ არ დაუშვას კანონმდებლობის შეუსაბამოდ, არასწორი მიზეზით გამოწვეული დისკვალიფიკაცია. აგრეთვე განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტის მიმართ და ხელს შეუწყობენ შესყიდვების პროცესში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.
4. სატენდერო კომისიამ დეტალურად იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო პირობებს. თუ პრეტენდენტის ტექნიკური

დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით ექვემდებარება დაზუსტებას, მიმართოს პრეტენდენტს მისი დაზუსტების მოთხოვნით. გამარჯვებულად არ გამოავლინოს პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაცია, არ შეესაბამება სატენდერო პირობებს. სახელმწიფო შესყიდვების მართვის პროცესში დაინერგოს კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფენ შესყიდვის პროცედურების სწორად წარმართვას და კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღების პრევენციას.

5. სატენდერო კომისიამ ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით და სათანადოდ დაასაბუთოს. არ მოახდინოს ელექტრონული ტენდერის დაუსაბუთებელი შეწყვეტა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების უგულვებელყოფა.
6. „გაერთიანებამ“ ჩამოაყალიბოს კონტროლოს ეფექტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმებას სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტისა და სატენდერო პირობების შესაბამისად.
7. სატენდერო დოკუმენტაციის ველებსა და ატვირთულ დოკუმენტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმებისას უპირატესობა მიენიჭოს სატენდერო დოკუმენტაციის ველებს.
8. კანონმდებლობის მიხედვით, ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველ კონკრეტულ ელექტრონულ ტენდერში, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ დადებული ხელშეკრულებით, ანგარიშ-ფაქტურით, ინვოისით, ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად დასადები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. სატენდერო კომისიამ წინასწარ, მკაფიოდ უნდა განსაზღვროს სატენდერო დოკუმენტაციაში, თუ რა სახის დოკუმენტაციით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.
9. თუ ელექტრონულ ტენდერში კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, სატენდერო კომისია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულებას არ ითვალისწინებს, შესაბამისი გადაწყვეტილება სათანადოდ დაასაბუთოს სატენდერო დოკუმენტაციაში.
10. პრაქტიკაში უნდა დაინერგოს კონტროლის ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ წარმართვას და ხელშეკრულებებში ტექნიკური, რაოდენობრივი და ფინანსური პარამეტრების სრულყოფილად განსაზღვრას.
11. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში სასურველია აუდიტის ობიექტმა გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციასა და დანაკარგების კომპენსირებას. საჯარიმო სანქციის დაწესება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის დაცვით, იგი უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული.
12. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადები განისაზღვროს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, კერძოდ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სულ მცირე, 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდებისთვის, მომსახურების გაწევისთვის ან სამშენებლო სამუშაოს შესრულებისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.

13. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, სისტემაში ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების /შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აისახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიენიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“).
14. მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირ(ებ)ის, ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირ(ებ)-ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციასთან ერთად. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელ ფიზიკურ პირს არ ევალება ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის დადასტურება, თუ აღნიშნული მას, როგორც სატენდერო კომისიის ან სატენდერო კომისიის აპარატის წევრს, იმავე მიმწოდებლის (პრეტენდენტის) მიმართ უკვე დადასტურებული აქვს ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობისას.
16. სატენდერო კომისიის აპარატის წევრებმა სრულყოფილად შეასრულონ მათთვის დაკისრებული ფუნქციები, რომელიც დაკავშირებულია სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან, მათ შორის, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმების სისტემაში განთავსებასთან.
17. მიზანშეწონილია, „სახელმწიფო სახსრების ხარჯვა განხორციელდეს რაციონალურად და ეკონომიურად, არ განხორციელდეს ისეთი მომსახურების შესყიდვა, რომლის შესრულებაც „გაერთიანებას“ შეუძლია საკუთარი პერსონალით.
18. ა) „გაერთიანება“-მ უნდა დაადგინოს თუ რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს ყოველ 100 კმ-ზე ან/და ერთი მუშა-საათის განმავლობაში სპეც-ტექნიკა და ავტომანქანები შემდეგი სახელმწიფო ნომრებით: GML-180; RJR-414; NN249KK; NN289KK; NN219KK; AA652D; AA890QA; BB734Q; MJ549JM; DQ498QD; ZZ941BB; BB287Q; BB755Q; BB734Q; სპეციალიზებული სათიბი ნავი OAO; ბალახის საჭრელები და სათიბელები გაცემულ საწვავზე. ბ) პრაქტიკაში უნდა დაინერგოს საწვავის ხარჯვის ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალების ან/და სპეც.ტექნიკის მიერ განვლილი მანძილის ან/და ნამუშევარი საათების ზუსტ აღრიცხვას. გ) გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაციაში მიეთითოს თუ სად, კონკრეტულად რა სამუშაოსთვის გაიხარჯა საწვავი. დ) „გაერთიანება“-მ გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს საწვავის ხარჯვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტაციაში ოდომეტრის მაჩვენებლები, ჩასხმული საწვავის რაოდენობებისა და საწვავის ნაშთების ზუსტი ასახვა. ე) საწვავის ძირითად საშუალებაზე გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შედგენილ იქნეს შემდეგ ძირითად საშუალებებისთვის: GRADER GR1803 სახ. ნომრით AA652D; HANWO თვლიანი ტრაქტორი სახ. BBN734Q; KOMATSU WB 93S-5 ექსკავატორი სახ. NBB755Q; ZHONGYUAN თვლიანი ტრაქტორი სახ. N BB287Q; OAO კამიშების საჭრელი ნავი, ბალახის საჭრელებსა და სათიბელებზე გაცემულ საწვავზე.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობას იღებენ ჰარმონიზაციის ცენტრის, სსიპ საჯარო აუდიტის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში.

ონლაინ პროგრამა Zoom - ის საშუალებით სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგ კურსი - „შიდა აუდიტი მუნიციპალიტეტებისათვის“, სადაც მონაწილეობა მიიღო ერთმა თანამშრომელმა, აღნიშნული ტრენინგ კურსი დაფუძნებული იყო სახელმწიფო აუდიტის ძირითად მიგნებებზე მუნიციპალიტეტებში, რაც მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის სფეროში საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის; სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის და GIZ ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი „რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი“ სადაც მონაწილეობა მიიღო ორმა თანამშრომელმა; საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების სერთიფიცირების კურსი გაიარა ორმა თანამშრომელმა.

ჰარმონიზაციის ცენტრთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში სამსახური დეტალურ ინფორმაციას იღებს საქართველოში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებისა და ამ სფეროში მიმდინარე რეფორმების თაობაზე.